ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7560449

ნომერი: AR11092467

თარიღი : 02.06.2025

გაცემის თარიღი : 21.07.2025

გაცნობის თარიღი : 21.07.2025

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ივ. ჯავახიშვილი , N 64ა; ქალაქი თბილისი , ქუჩა ივ. ჯავახიშვილი , N 62;

დამკვეთი-განმცხადებელი

- რევაზ ტყემალაძე პ/ნ 01024004230
- ჭავჭავაძის 12

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- III კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 22 ივლისის № 7141387 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2025 წლის 02 ივნისის AR11092467 განცხადებით მომართა მოქალაქე რევაზ ტყემალაძემ და მოითხოვა სამსახურის 2024 წლის 22 ივლისის № 7141387 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა, მიწის ნაკვეთის საკადასტრო მონაცემების ცვლილებასთან და მშენებლობის სახეობასთან დაკავშირებით.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა

შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 22 ივლისის № 7141387 ბრძანებით ქალაქ თბილისში, ივ.ჯავახიშვილის ქ.N62, საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ N01.16.05.010.012; (708კვ.მ) მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის განხორციელების მიზნით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.

წინამდებარე განაცხადით, მოთხოვნილია სამსახურის 2024 წლის 22 ივლისის № 7141387 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილბის შეტანა - მიწის ნაკვეთის დამატება, არსებული შენობის (კაფე) რეკონსტრუქცია და ასევე, 01.16.05.010.012 მიწის ნაკვეთზე საპროექტო ობიექტის ფუნქციების დაზუსტება.

სამსახურს, მოთხოვნილი ცვლილებების განხორციელება შესაძლებად მიაჩნია, იმ პირობით, რომ არქიტექტურული პროექტის შეთანხმებამდე მოხდება 01.16.05.010.012 და 01.16.05.010.011 საკადასტრო კოდების გაერთიანება ერთ მიწის ნაკვეთად და წარმოდგენილი იქნება განახლებული ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და საკადასტრო გეგმა. ასევე, განხორციელდება ს.კ : 01.16.05.010.011 მიწის ნაკვეთზე მდებარე შენობის რეკონსტრუქცია.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია 2024 წლის 22 ივლისის № 7141387 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 22 ივლისის № 7141387 ბრძანებით, დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, კერძოდ:

ა) მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებს დაემატოს 01.16.05.010.011 საკადასტრო ერთეული, ფართობი: 206კვ.მ.

ბ) მშენებლობის სახეობად დაფიქსირდეს: ახალი მშენებლობა (მრავალბინიანი, კომერციული, სავაჭრო,) და 01.16.05.010.011 საკადასტრო ერთეულზე არსებული შენობის (კაფე) რეკონსტრუქცია.

გ) მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებს დაემატოს გაფრთხილება:

1. არქიტექტურული პროექტის შეთანხმების ეტაპზე მოხდეს საპროექტო მიწის ნაკვეთების გაერთიანება და წარმოდგენილი იქნას განახლებული ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და საკადასტრო გეგმა.
2. პროექტის შეთანხმების სტადიაზე წარმოდგენილ იქნეს 01.16.05.010.011 საკადასტრო ერთეულზე მდებარე შენობის შესაბამისი რეკონსტრუქციის პროექტი.

2.წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის სამსახურის 2024 წლის 22 ივლისის № 7141387 ბრძანებით დამკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან ერთად;

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ.თბილისი, ჟ.შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

.

დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიისცხ

ელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ.#7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე #4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.